

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2017 წლის 6 ნოემბერი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 26.12.2016, 190020020.35.166.016296) შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ფაქტი		2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 313,5	15 229,0	4 689,4	10 539,6	14097,5	3747,3	10350,0
გადასახადები	1 645,2	3 791,5	0,0	3 791,5	3 700,0	0,0	3700,0
გრანტები	12 288,0	10 619,8	4 689,4	5 930,4	9263,3	3747,3	5516,0
სხვა შემოსავლები	1 380,3	817,7	0,0	817,7	1134,2	0,0	1134,2
ხარჯები	8 820,0	8 755,2	8,1	8 747,1	8369,1	0,0	8369,1
შრომის ანაზღაურება	1 809,3	1 884,8	0,0	1 884,8	1553,8	0,0	1553,8
საქონელი და მომსახურება	1 139,8	1 483,4	8,0	1 475,4	1113,4	0,0	1113,4



პროცენტი	235,2	195,2	0,0	195,2	150,2	0,0	150,2
სუბსიდიები	3 916,9	3 923,2	0,0	3 923,2	4419,1	0,0	4419,1
გრანტები	489,6	117,4	0,0	117,4	00	0,0	00
სოციალური უზრუნველყოფა	1 017,2	1 029,0	0,0	1 029,0	985,0	0,0	985,0
სხვა ხარჯები	212,0	122,3	0,1	122,2	137,6	0,0	137,6
საოპერაციო სალდო	6 493,4	6 473,8	4 681,3	1 792,5	5728,4	3747,3	1981,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 402,8	6 681,0	4 797,3	1 883,7	5911,3	3809,1	2102,3
ზრდა	6 852,0	6 936,4	4 797,3	2 139,1	6271,3	3809,1	2462,3
კლება	449,2	255,4	0,0	255,4	360,0	0,0	360,0
მთლიანი სალდო	90,7	-207,2	-116,0	-91,2	-182,9	-61,7	-121,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-225,3	-562,4	-116,0	-446,4	-835,8	-61,7	-774,1
ზრდა	103,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	103,7	0,0			0,0		
კლება	329,0	562,4	116,0	446,4	835,8	61,7	774,1
ვალუტა და დეპოზიტები	329,0	562,4	116,0	446,4	735,8	61,7	674,1
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	100,0	0,0	100,0
ვალდებულებების ცვლილება	-315,9	-355,2	0,0	-355,2	-652,9	0,0	-652,9
კლება	315,9	355,2	0,0	355,2	652,9	0,0	652,9
საშინაო	315,9	355,2	0,0	355,2	652,9	0,0	652,9
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0

მუხლი 2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

		2016 ფაქტი	2017 წლის გეგმა
--	--	------------	-----------------



დასახელება	2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15762,7	15 484,4	4 689,4	10 795,0	14557,5	3747,3	10810,2
შემოსავლები	15313,5	15 229,0	4 689,4	10 539,6	14097,5	3747,3	10350,2
არაფინანსური აქტივების კლება	449,2	255,4	0,0	255,4	360,0	0,0	360,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	100,0	0,0	100,0
გადასახდელები	15987,9	16 046,8	4 805,4	11 241,4	15293,4	3809,1	11484,3
ხარჯები	8820,0	8 755,2	8,1	8 747,1	8229,1	0,0	8229,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	6852,0	6 936,4	4 797,3	2 139,1	6231,3	3809,1	2422,3
ვალდებულებების კლება	315,3	607,2	0,0	607,2	652,9	00	652,9
ნაშთის ცვლილება	225,3	-562,4	-116,0	-446,4	-735,8	-61,7	-674,1

მუხლი 3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით შემოსავლები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით შემოსავლები 14097,5 ათასი ლარი.

ათას ლარებში

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
შემოსავლები:	15 313,5	15 229,0	4 689,4	10539,6	14097,5	3747,3	10350,2
გადასახადები	1645,2	3791,5	0,0	3791,5	3700,0	0,0	3700,0



გრანტები	12288,0	10619,8	4689,4	5930,4	9263,3	3747,3	5516,0
სხვა შემოსავლები	1380,3	817,7	0,0	817,7	1134,2	0,0	1134,2

მუხლი 4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით გადასახადები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გადასახადები 3700,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გადასახადები	1645,0	3791,5	3700,0
საშემოსავლო გადასახადი	00	1177,1	1300,0
ქონების გადასახადი	1645,0	2614,4	2400,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	572,2	1266,9	1450
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	18,5	25,9	10,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	531,2	709,6	520,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	523,1	612,0	420,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	00	00	00

მუხლი 5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით გრანტები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გრანტები 9263,3 ათასი ლარით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გრანტები	12288,0	10619,8	9263,3
გათანაბრებითი ტრანსფერი	6985,4	5770,4	5356,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0
სპეციალური ტრანსფერი	5142,6	4689,4	0
მ.შ საქართველო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	00	00	00
მ.შ საქართველოს რეგიონებში			



განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	4047,0	3497,7	3747,3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით	1095,6	1067,3	00
სხვა მიმდინარე ღონისძიებები - სტიქია	00	124,4	00

მუხლი 6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით სხვა შემოსავლები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 1134.2 ათასი ლარით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1380,3	817,7	1134,2
სემოსავლები საკუთრებიდან	199,6	135,4	205,0
პროცენტი	108,3	44,8	25,0
რენტა	91,3	90,6	140,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	74,4	75,7	120,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16,9	14,9	20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	359,5	87,8	229,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	326,7	39,5	194,0
სანებართო მოსაკრებელი	92,3	36,5	26,9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1	00	00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	00	0,1
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	234,0	00	132,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	00	3,0	35,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	00	00	00
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	32,7	48,3	35,0
ჯარიმები სანქციები და საურავები	696,4	540,5	600,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	124,8	54,0	100,0

მუხლი 7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები



განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8229,1ათასი ლარით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
ხარჯები	8820,0	8755,2	8,1	8747,1	8369,1	00	8369,1
შრომის ანაზრურება	1809,3	1884,8	00	1884,8	1553,8	00	1553,8
საქონელი და მომსახურება	1139,8	1483,4	8,0	1475,4	1113,4	00	1113,4
პროცენტი	235,2	195,2	00	195,2	150,2	00	150,2
სუბსიდია	3916,9	3923,2	00	3716,5	4419,1	00	4419,1
გრანტები	489,6	117,4	00	117,4	10,0	00	10,0
სოციალური უზრუნველყოფა	1017,2	1029,0	00	1095,0	985,0	00	985,0
სხვა ხარჯები	212,0	122,3	0,0	122,2	137,6	00	137,6

მუხლი 8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5911,3 ათასი ლარით.

ა) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6271,3 ათასი ლარით.

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
01 00	'წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	122,2	431,1	11,9	419,2	160,0	00	160,0
02 00	'თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და	00	1,0	00	1,0	161,0	00	161,0



	უსაფრთხოება								
03 00	'ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5530,3	5447,1	3957,6	1489,5	5317,0	3759,4	2057,5	
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	764,2	818,8	761,6	57,2	53,8	49,6	4,2	
05 00	'კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	435,3	238,4	66,2	172,2	79,6	00	79,6	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	00	00	00	00	00	00	00	

ბ) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 260.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	449,3	255,4	360,0
ძირითადი აქტივები	291,8	250,0	250,0
არაწარმოებული აქტივები	157,4	150,0	110,0
მიწა	157,4	150,0	110,0

მუხლი 9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ფაქტი		2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 640,1	2 998,0	11,9	2 986,1	2 552,7	0,0	2 552,7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა,	2	2	11,9	2 755,4	2	0,0	2 359,0



	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	365,0	767,3			359,0		
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 329,0	2 703,3	11,9	2 691,4	2 269,0	0,0	2 269,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	36,0	64,0	0,0	64,0	00,0	0,0	00,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	235,2	195,2	0,0	195,2	150,2	0,0	150,2
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	39,9	35,5	0,0	35,5	43,5	0,0	43,5
702	თავდაცვა	101,9	117,5	0,0	117,5	115,2	0,0	115,2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	471,1	0,0	0,0	0,0	160,0	0,0	160,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	471,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 863,4	4 192,4	3 371,4	821,0	4 574,0	3 293,1	1 280,9
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	42,0	305,2	124,4	180,7	135,3	0,0	135,3
70421	სოფლის მეურნეობა	41,8	305,2	124,4	180,7	135,0	0,0	135,0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0,2	0,0	0,0	0,0	0,3	0,0	0,3
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	100,0	0,0	100,0
70443	მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	100,0	0,0	100,0
7045	ტრანსპორტი	2 821,4	3 757,3	3 210,1	547,2	4 283,7	3 293,1	990,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 821,4	3 757,3	3 210,1	547,2	4 283,7	3 293,1	990,6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	129,9	36,9	93,0	55,0	0,0	55,0
705	გარემოს დაცვა	735,9	851,9	86,0	765,9	862,2	0,0	862,2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	514,2	595,9	0,0	595,9	697,2	0,0	697,2
7052	ჩამდინარე წყლების	161,7	187,4	86,0	101,4	100,0	0,0	100,0



	მართვა							
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	60,0	68,6	0,0	68,6	65,0	0,0	65,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 359,1	2 036,2	500,2	1 536,0	2037,9	466,3	1 571,6
7061	ბინათმშენებლობა	44,5	0,0	0,0	0,0	2,0	0,0	2,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	583,3	746,9	0,0	746,9	640,0	0,0	640,0
7063	წყალმომარაგება	2 307,4	609,5	246,3	363,2	824,8	454,2	479,6
7064	გარე განათება	423,9	679,8	253,9	425,9	462,1	12,1	450,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	89,6	88,3	0,0	88,3	85,8	0,0	85,8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	89,6	88,3	0,0	88,3	85,8	0,0	85,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 786,1	1 619,9	67,7	1 552,2	1 162,3	0,0	1 162,3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	497,9	516,1	20,8	495,3	371,5	0,0	371,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 149,8	910,1	16,0	894,1	679,0	0,0	679,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	94,3	95,6	0,0	95,6	83,5	0,0	83,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	44,1	98,1	30,9	67,2	19,7	0,0	19,7
709	განათლება	2 427,8	2 595,1	768,2	1 826,9	1 933,0	49,6	1 883,4
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 391,8	2 537,0	768,2	1 768,8	1 862,0	49,6	1 812,4
7092	ზოგადი განათლება	0,0	13,1	0,0	13,1	30,0	0,0	30,0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0,0	13,1	0,0	13,1	30,0	0,0	30,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	35,9	45,0	0,0	45,0	41,0	0,0	41,0
710	სოციალური დაცვა	1 171,6	1 192,4	0,0	1 192,4	1 007,4	0,0	1 007,4
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	154,4	163,4	0,0	163,4	172,4	0,0	172,4
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	2,0	2,0	0,0	2,0	2,0	0,0	2,0



7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	388,6	386,1	0,0	386,1	370,0	0,0	370,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	598,5	584,4	0,0	584,4	400,0	0,0	400,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	28,1	56,5	0,0	56,5	63,0	0,0	63,0
	სულ	15 646,6	15 691,6	4 805,4	10 886,2	14490,5	3809,1	10 681,4

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -182,9 ათასი ლარით.

მუხლი 11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 835,8ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება -652,9 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 160.0 ათასი ლარი მიიღმართოს:

- ა) ააიპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური 77,7 ათასი ლარი;
- ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 82,3 ათასი ლარი.

თავი II

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გათვალისწინებულია წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები. გატარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამები:

საგზაოინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (03 01)

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)



სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (03 02)

კეთილმოწყობის სამუშაოები (03 03)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების საუბნო გზების ასფალტირება, ქალაქის ცენტრალური და შიდა გზების მოვლა-შენახვა. დაგეგმილია გზების რეაბილიტაციისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ღირებულების თანადაფინანსება, ფონდიდან დაფინანსდება თორმეტი პროექტი, ქ. გურჯაანში გოგებაშვილის ქუჩის და გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში ნინოშვილის ქუჩის მოასფალტება, ქ. გურჯაანში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა, ქ. გურჯაანში ფურცელაძის ქუჩის მოასფალტება, სოფ. მუკუზანსა და სოფ. ზეგანში შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა, სოფ. კაჭრეთსა და სოფ. ზემო კაჭრეთში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფ.კალაურში სადგურის უბნის გზის მოასფალტება, სოფ. ვეჯინში კეკის სასაფლაოს გზისა და საბავშვო ბაღის გზის რეაბილიტაცია, სოფ. შაშიანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, სოფ. ვაჩნაძიანში შიდა საუბნო (სადგურის) გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა (II ეტაპი), სოფ. ჩუმლაყში შიდა გზაზე ასფალტობეტონის საფარის დაგება (II ეტაპი), სოფ. ბაკურციხეში "ვანჩუკაანთ" უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. ძირკოკში საუბნო გზის რეაბილიტაცია და სოფ. გურჯაანის №2 საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სულ 13188 მეტრი ახალი გზის საფარის დაგება და 6700მეტრი ახალი სანიაღვრე არხების მოწყობა. ამ პროექტების განხორციელებით ისარგებლებს 31100 ბენეფიციარი, ასევე დაგეგმილია ადგილობრივი დაფინანსებით განხორციელდეს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეტი ასფალტირებული სოფლის ქუჩები

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფლად ახალი ჭაბურღილების ბურღვა და სოფლის ახალი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა; რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდება სოფ. მუკუზანსა და სოფ.ზეგანში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფელ კარდენახში შაკიანთ უბანში ჭაბურღილის მოწყობა, სოფ. ზემო კაჭრეთში ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარებთან ერთად, სოფ. ბაკურციხეში, ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარებთან ერთად, დამონტაჟდება 8 ცალი რეზერვუარი და მოეწყობა 9582 მეტრი ახალი წყლის ქსელი თანხით 479,1 ათ. ლარი, ამ პროექტების შესრულებით ისარგებლებს 4500. ასევე განხორციელდება ჭაბურღილებისა და ახალი ქსელების მოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სოფლად მოსახლეობის ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა წყლით მომარაგება.

ბ.ბ) ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“ (პროგრამული კოდი 03 02 02 02)

ქვეპროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლის მომარაგების რეგულირება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები



· მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით შექმნილი შეფერხებების მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღმოფხვრა და დაზიანებების შემცირების ხელშეწყობა.

ბ.გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა; მომსახურების ხარისხიანობის დონის ამაღლება, მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების დაფარვა თანხით 240,0ათ. ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- კრიმინალური ფაქტორების შემცირება;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მაქსიმალურად განათებული ქალაქისა და სოფლის ცენტრალური ქუჩები;

ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები შპს „კეთილმოწყობა“ (პროგრამული კოდი 03 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „კეთილმოწყობას“ განესაზღვრა **სუბსიდიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და გამგეობის შენობის დასუფთავებისათვის**. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები, ბალები და მოედნები. დასუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (55კმ) მიმდებარე ტერიტორია.

შუალედური შედეგი

- ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქალაქის ტერიტორიაზე დაგვილი და დასუფთავებული ქუჩების რაოდენობის ზრდა;
- მოსახლეობაზე ორიენტირებული სუფთა და ეკოლოგიური გარემოს შექმნა

ბ.ვ) ააიპ „ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიადაგისა და წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლის; მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების მიზეზების აღმოჩენის; ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და სხვა აუცილებელი ლაბორატორიული კვლევისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასების მიზნით.

შუალედური შედეგი

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოზე ზრუნვის ხელშეწყობა. ჯანმრთელი და არაინფიცირებული მოსახლეობის რაოდენობა.

გ) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02) წარმოდგენილია ბიუჯეტი - 235,3ათ. ლარით

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადების, ძირითადი ქონების აუდიტორული შეფასების სამუშაოები; მუნიციპალიტეტის



ტერიტორიაზე არსებული ხევების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

გ.ა) საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- საკანალიზაციო სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა
- სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ქუჩების წყლის ნაკადისგან დასაცავად, სანიაღვრე არხებში წყალგამტარიანობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეტი გზის დაცვა წყლის დაზიანებისგან;
- მოწესრიგებული კანალიზაციის სისტემის ზრდა;

გ.ბ) თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუქციონზე გასაყიდად გასატანი მიწებისა და ძირითადი ქონების შეფასება. მიწების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების შესყიდვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ადგილობრივი შემოსავლების გაზრდა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური შენობების იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.
- ინვესტიციების ზრდა;

გ.გ) ხევების რეაბილიტაციისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- საცხოვრებელი სახლების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის გზების დატბორვის საშიშროების აღმოფხვრა;
- ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ხევებზე წყალგამტარიანობის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, გაწმენდილი ხევების რაოდენობის ზრდა;

დ) დაიგეგმა სოფლად ამბულატორიების მშენებლობა,

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი და ამორტიზირებული ამბულატორიების მშენებლობა-



რეაბილიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობას კომფორტულ გარემოში მიიღოს ამბულატორიული მომსახურება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება კარგ სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებში.
- შედეგების შეფასების ინდიკატორები
- ხარისხიანი მომსახურების მიღება;

ე) ბინათმშენებლობა, პროგრამის მიხედვით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გაზის აფეთქების შედეგად დაზარეული საცხოვრებელი შენობის შემოღობვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსახლების უსაფრთხოების დაცვა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01) მოხდება ბაღების გაზიფიცირება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2230 აღსაზრდელი. გათვალისწინებულია დღეში ორჯერადი კვება, თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში იგეგმება 1,10 ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“ დაფინანსება. ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოზარდთა შემოქმედებითი-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემოქმედებით საგანმანათლებლო აქტივობის ამაღლება.

გ) „წარჩინებულ პირველკურსელთა და მოსწავლეთა წახალისება“ (პროგრამული კოდი 04 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პირველკურსელ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებული სტუდენტთა წახალისება, კომისიის მიერ შეირჩევიან სტუდენტები რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მიიღეს მაღალი ქულები. აგრეთვე, ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლის წარჩინებული მოსწავლეების



ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც განსაკუთრებული მიღწევის გამო საჭიროებენ დაფინანსებას განათლების რომელიმე სფეროში.“ (შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შესაბამისად)

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· მოსწავლეთა საგანმანათლებლო დონის ამაღლება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემოქმედებით საგანმანათლებლო დონის ამაღლებისთვის.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების, სახელოვნებო სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ასევე სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება;

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ახალგაზრდობის ჩართულობა; ჩასატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მათი ჩატარების ორგანიზება სპარტაკიადები მოსწავლეთა შორის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· სპორტული ღონისძიებისა და სრულყოფილი სასპორტო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;

· ახალგაზრდობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართულ მოზარდთა რაოდენობის ზრდა;

· ჩატარებულ ღონისძიებების რაოდენობა;

ა.ა) სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 00)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „გურჯაანის სპორტული გაერთიანების“, ააიპ საფეხბურთო კლუბი „ალაზნის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრენბურთის და კარატეს შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

სპორტულ სკოლებში სულ დასაქმებულია 44 მწვრთნელი, რომელიც ემსახურება 610 ბავშვის აღზრდას.

ა.ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადა, ტურნირი მკლავჭიდში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, საგაზაფხულო პირველობა მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, ალ. ნატროშვილის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა



მოსწავლეთა შორის, ქ. გურჯაანის ღია პირველობა კრივში, ტრადიციული ტურნირი მიუდომი კადეტთა შორის. მიმდინარე წელს გაიხსნება საცურაო აუზი, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდთა ფიზიკურ ჯანმთელობას.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული გურჯაანელი სპორტსმენებით;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა.
- სპორტულ ტურნირებში პრიზიორების რაოდენობის ზრდა;

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნო სკოლების, თეატრების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვა და სხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები

ბ.ა) კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ „გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებას“ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნის, პიროვნების შემოქმედებითი განვითარების, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვის და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში აფინანსდება ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“. რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვა და პოპულარიზაცია, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება.

